

თსუ მედიცინის ფაკულტეტი
სადისერტაციო ნაშრომის ტექნიკური მონაცემების ინსტრუქცია

(დამტკიცებულია თსუ მედიცინის ფაკულტეტის საბჭოს #5 სხდომის მიერ - 2019 წლის 14 ივნისს)

მოცულობა და ფორმატი:

სადისერტაციო ნაშრომის სრული მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს 200 გვერდს. ფურცლის ზომა A/4; გვერდის საზღვრები: მარჯვენა ველი - 1,5 სმ., მარცხენა ველი - 3 სმ., ზედა ველი - 2 სმ., ქვედა ველი - 2 სმ. ქვედა ველში, მარჯვნივ, უნდა ფიქსირდებოდეს გვერდის ნომერი. ტექსტის სტრიქონებს შორის მანძილი - 1,5.

ძირითადი ტექსტის შრიფტის ზომა - 12; სადისერტაციო ნაშრომის ფორმატირებისას გამოიყენება სილფაენის (Sylfaen) შრიფტი.

ნაშრომს თან უნდა ერთვოდეს გამოყენებული ლიტერატურის ჩამონათვალი, სადაც წყაროები დალაგებულია ალფაბეტის დაცვით და ჩამოთვლილი სტილებიდან ერთ-ერთის გამოყენებით APA ან Chicago / Chicago manual of style 17th edition (Author – date).

თემაზე მუშაობისას და სადისერტაციო ნაშრომის გაფორმებისას გაითვალისწინებული უნდა იქნას შემდეგი სტრუქტურა:

1. საწყისი ნაწილი - ნაშრომის საწყისი გვერდები (თავფურცლის გარდა) ინომრება რომაული ციფრებით:

1.1. თავფურცელი (მიეთითოს: უნივერსიტეტის სახელწოდება; ფაკულტეტის სახელწოდება; სადოქტორო პროგრამის სახელწოდება; ავტორის სახელი და გვარი; სადისერტაციო ნაშრომის სათაური; ტექსტი „მედიცინის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაცია“; სამეცნიერო ხელმძღვანელ(ებ)ის სახელი და გვარი; ნაშრომის წარდგენის ადგილი და წელი).

1.2. აბსტრაქტი (ტექსტი ქართულ და ინგლისურ ენაზე უნდა იყოს წარმოდგენილი. თითოეული აბსტრაქტის მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს 500 სიტყვას).

1.3. სარჩევი (აღინიშნოს სადისერტაციო ნაშრომის ყველა ნაწილი მათი თანმიმდევრობის შესაბამისად).

1.4. ცხრილების, გრაფიკებისა და სხვა ილუსტრაციების ჩამონათვალი (თითოეული ცხრილი, გრაფიკი და სხვა თვალსაჩინოება უნდა იყოს დასათაურებული და დანომრილი. ჩამონათვალში მიეთითოს - სათაური, ნომერი და გვერდი).

1.5. აბრევიატურების ჩამონათვალი (აბრევიატურების სრული ჩამონათვალი და შესაბამისი განმარტებები).

2. ძირითადი ნაწილი: ნაშრომის ძირითადი ნაწილი ინომრება არაბული ციფრები.

2.1. შესავალი (აღიწერება - საკვლევი პრობლემის აქტუალურობა; კვლევის ჰიპოთეზა ან/და საკვლევი საკითხები; კვლევის მიზანი და ამოცანები; წარმოდგენილი კვლევის მნიშვნელობა და/ან სიახლე; დასაცავად გამოტანილი დებულება (დებულებები));

2.2. სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა (გამოქვეყნებული სტატიები, წიგნები, მონოგრაფიები, სადისერტაციო ნაშრომები და სხვა სახის მასალები; წყაროების მითითებისას თსუ-ში

ფაკულტეტების მიერ დამტკიცებული აკადემიური სტილის (APA/Chicago) ყველა შესაბამისი ნორმა უნდა იყოს დაცული).

2.3. კვლევის მეთოდოლოგია, მეთოდიკა, მეთოდები (კვლევის ყველა გამოყენებული მეთოდი უნდა იყოს მითითებული და მათი გამოყენება დასაბუთდეს ეფექტურობის თვალსაზრისით, დეტალურად და თანმიმდევრულად აღიწეროს კვლევის პროცედურები), კვლევის ეთიკის საკითხები.

2.4. კვლევის შედეგები (შედეგების წარდგენა სისტემური და ლოგიკური უნდა იყოს) და მათი ანალიზი.

2.5. დასკვნები (უნდა მოიცავდეს კვლევის ყველა ძირითადი შედეგის შეჯამებას) და რეკომენდაციები (უნდა ასახავდეს კვლევის შედეგების პრაქტიკაში დანერგვის მიზანშეწონილობას/მნიშვნელობას და/ან საკვლევი საკითხის შემდგომი შესწავლისთვის ჩასატარებელი კვლევების პერსპექტივებს).

3. დასკვნითი ნაწილი:

3.1. ბიბლიოგრაფია (ყველა გამოყენებული წყარო - ელექტრონული თუ ბეჭდვითი მასალები - მიეთითოს ანბანური თანმიმდევრობით).

3.2. დანართები (მასალა, რომლის სრული მითითება ძირითად ნაწილში არ არის მიზანშეწონილი).

სადისერტაციო ნაშრომის სტრუქტურა:

1. საწყისი ნაწილი

თავფურცელი

- აბსტრაქტი
- სარჩევი
- ცხრილების, გრაფიკებისა და სხვა ილუსტრაციების ჩამონათვალი
- შემოკლებები - აბრევიატურების ჩამონათვალი

2. ძირითადი ნაწილი:

- I შესავალი - კვლევითი თემის აქტუალობა;
- II ლიტერატურის მიმოხილვა - სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა
- III კვლევის მეთოდოლოგია, მეთოდიკები და მეთოდები
- IV კვლევის ეთიკის საკითხები
- V კვლევის შედეგები და მათი ანალიზი
- VI დასკვნები და რეკომენდაციები

3. დასკვნითი ნაწილი:

- VII გამოყენებული ლიტერატურა - ბიბლიოგრაფია
- VIII გამოქვეყნებული ნაშრომების სია
- IX მოხსენებები ნაშრომის თემაზე
- X დანართები